№ 60. 20 მარტი, პარასკევი. 1866 – 1881 20 მარტი, პარასკევი. № 60.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თვილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**თავადი ზაალ დავითის-ძე ხერხეულიძე** მეუღლით, გულითადის მწუხარებით აუწყებს რა გარდაცვალებასა მისის ნათესავის არტილერიის პოდპოლკოვნიკის **თ. ლევან ედიშერის-ძის ხერხეულიძისა**, ჭრილობისაგან, რომელიც მიიღო გეოკ-თეფეს აღების დროს, სთხოვენ მშობელთ, ნაცნობთ და თანა-მომსახურეთ მიცვალებულისა, მობრძანდნენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც იქნება გარდახდილი პანაშვიდი, დღეს, 20 მარტს, დილის 11 საათზედ.

ხელის-მოწერა

## ბროსსეს

სახელობის პრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათათვის.

სია მეათე.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურღის ქართველ სტუდენტებისაგან | 15 | „ |
| თ. ვას. გ. მაჩაბლისაგან | 10 | „ |
| ფოთში მოგროვილი გ. ელ. სტ. ბაბალოვის საშუალებით: | | |
| პავლე ქორქაშვილი | 3 | „ |
| ელიზბარ ბაბალოვი | 3 | „ |
| პავლე ქოსტავა | 2 | „ |
| ლუკა კუპრაძე | 1 | „ |
| იოსებ ჩიჯიშვილი | 1 | „ |
| აარონ მიხეილაშვილი | 1 | „ |
| აბრამ ელიგულაშვილი | 1 | „ |
| სკარდანა | „ | 50 |
| არუთინ ზუბითოვი | 1 | „ |
| ობერმეისტერი | 1 | „ |
| ანდრუცკი | 1 | „ |
| პავლე ნადირაძე | 1 | „ |
| ბერო კვინიხიძე | 1 | „ |
| მღვდელი გრიგოლ მაჭავარიანისაგან | 3 | „ |
| დათა გრიგოლია | 1 | „ |
| მათეი გერცოკ | 1 | „ |
| ქრისტეფორე ხუმარაძე | 3 | „ |
| თემურაზ ჩაჩავა | 2 | „ |
| ბაბინი | „ | 50 |
| ნამიჩეიშვილი | 1 | „ |
| სამი კაცი-უსახელო | 4 | „ |
| სულ | 58 | „ |
| ადრინდელი იყო | 297 | 70 |
| სულ რედაქციაში არის | 355 | 70 |

## ტელეგრამმა

ხალხთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**სიმლა**, 18 მარტს. გერატისა და ყანდაარის აჯანყებული ჯარები და აიმონის ტომის ხალხი გერატს მიადგნენ ასაღებად. ამბობენ, რომ ამათ დაატყვევეს გერატში მეფეი ეიუბ-ხანი.

## ხელმწიფის მიცვალების ამბავი.

— რისაკოვისა და ამის ამხანაგების გასამართლება იქნება 20 მარტს. სასამართლოში თავმჯდომარედ იქნება სენატორი ფუქსი, და დანარჩენ სენატორთა გარდა, ამ საქმის განხილვაში მიიღებენ აგრეთვე მონაწილეობას: მოსკოვის ქალაქის თავი ს. მ. ტრეტიაკოვი, პეტერბურღის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გრაფი ბობრინსკი და მაზრის უფროსი ჰილლერტი. ბრალმდებელი აქტი შედგენილია და კიდეც იბეჭდება.

— ერთ ნემეცურ გაზეთში იწერებიან პეტერბურღიდამ: „ზეირგეინის კურთხევა დანიშნულია მოსკოვში ენკენისთვისათვის. უეჭველია უსაქმურ კაცებს ისტუმრებენ პეტერბურღიდამაო.“

— „კელნის გაზეთში“ იწერებიან პარიჟიდამ 7 მარტს:

„ზუშინ მარტო ერთს პარიჟში იყო გამართული 28 ბანკეტი რევოლიუციონერებისაგან. თითქმის ყველაზედ რისაკოვი ამოარჩიეს საპატიო თავსმჯდომარედ. უეჭველია ამ კრებებზედ ადიდებდნენ ხელმწიფის მკვლელებს. რადგანაც ამ ბანკეტებს სულ კერძო ხასიათი მისცეს, ამიტომ პოლიციამ ვერ აღკრძალა.

„როშფორი და ოლივიე პენი წავიდნენ ჟენევაში. იმათი მიზანი არის, მოელაპარაკონ იქაურ რუსის რევოლიუციონერებს და ნამდვილ ცნობების მაგიერ, ისეთი ხმები გაავრცელონ, რომ რუსის მმართებლობას გზა დაუბნიონ შესახებ 1 მარტის შემთხვევისა.

— რუსის გაზეთებში გამოცხადებულია, რომ საიმპერატორო თეატრები იქნებიან დახურულნი 1 ენკენისთვემდი და კერძო აღდგომამდე.

— გაზ. „ჰეროლდში“ სწერენ, რომ პირველ მარტს ზოგიერთნი ბოროტმოქმედნი პოლიციელებათ იყვნენ ჩაცმულნიო.

— გაზ. „მინუტაში“, დაბეჭდილია, რომ რისაკოვის მამამ თავი მოიკლაო.

— 9 მარტს ერთი კარგათ ჩაცმული ცხენოსანი დაატუსაღეს ანიჩკოვის (მემკვიდრის) სასახლის პირ-და-პირ.

— საზოგადოთ ძრიელ გახშირებულია ამ უკანასკნელ დროს დატუსაღება პეტერბურღშიო, იწერებიან გაზეთებში. სხვათა შორის ერთი მაგალითი: ახალგაზდა არტილლერიის აფიცერი, სათვალეებში, დასეირნობს ნევსკის პროსპექტზე. სათვალეების წყალობით ერთი პოლიციელი აილებს ეჭვს, უახლოვდება და ახედ-დახედავს.

— რა გნებავთ? კითხავს გაკვირვებული აფიცერი.

— საეჭვოა! თქვენ სრულიად არ გევხართ მხედარს... თქვენ სათვალეები გავთ.

— როგორ?! იქნება ვერ ვხედავ უსათვალოთ, როგორ მიბრძანებთ?

— ხომ ხედავთ, ეხლა რაც დროა, თქვენ შეგეძლოთ ეგ სათვალეები სახლში დაგეტოვებინათ.

— მე სამშვენებელათ კი არ დამაქვს სათვალეები, იმიტომ რომ ვერ ვხედავ უამისოთ და არ შემიძლიან, რომ ავიხსნა. და თუნდაც ეს არ იყოს, განა ვერა მხედავთ, რომ მე აფიცრის ტანისამოსი მაცვია? თუ ესეც არა გჯერათ წამობძანდით ჩემ სადგომში და დარწმუნდით.

ამ ლაპარაკში დიდ-ძალი ხალხი შემოეხვია ამ აფიცერს და პოლიციელს და საკმაო იყო აფიცრის მხრით ერთი ხმის ამაღლება, რომ მაშინვე გამხდარიყო გაბრაზებულის ხალხის მსხვერპლათ, მაგრამ იმან თავის გულ-გრილობით გადაირჩინა თავი.

— მეტის-მეტი გახშირებულიაო, იწერებიან გაზეთებში, სახლების გაჩხრეკა ამ ჟამად პეტერბურღში. 3-დამ 9 საათამდი განუწყვეტლივ სჩხრეკდენ სახლებს სხვა და სხვა ქუჩაზედ. სხვათა შორის დაჭერილია ორი ქალიშვილი, უმაღლეს კურსის ლექციების მსმენელნი.

— პეტერბურღიდამ იწერებიან „კენიგსბერგის გაზეთში“, რომ ერთ დატუსაღებულთაგანს ამ დღეებში აქ

---

## «დროების» ფელტონი, 20 მარტს.

### სხვისი შვილები

(გუსტავ ნადოსუბური)

მეც კარგი ვიყავ სიყმაწვილეში,
ამას არ ვფარავ მე არას დროში;
თვალიც მიჭრიდა, გულიც მიფეთქდა
და საქმეც მქონდა კარგათ ქალებში.

მაგრამ ახლა კი საქმე წამიხდა
და მეზობლების ტურფა ქალები
სულ ამეშალნენ, შარი დამიწყეს,
გარდმომიყარეს თავის შვილები!

აყალ-მაყალი, ტყვილი და შარი
მე რომ მოგიყვეთ, სირცხვილი არი;
მხოლოდ გეფიცვით პატიოსნებას,
რომ ჩემი შვილი ერთიც არ არი!

ქალიშვილებში ვიცნობდი ლიზას,
ხშირათ ვიყავი სტუმრათ მე მისას.
ლიზა გათხოვდა, კარგ ბიჭსა წაჰყვა,
ვერ ვიტყვი მე ცუდს ლიზას ქმარისას!

საკვირველება მხოლოდ ეს არის,
რა ქმარმა ლიზა წამოიყვანა,
იმას პაწაწა ქალი ეყოლა,
რომელიც სუ ლმე გამომემგვანა!

უნდა უყუროთ რაებს ამბობენ
ჩვენი მეზობლის პატარძალები:
მთელ ქალაქშია ხმა დამიყარეს...
ტყვილს მიგონებენ შარიანები!

ლიზას მოვსწონდი; მაგრამ ეს შარი,
მართალი გითხრათ, სირცხვილიც არი:
მე თქვენ გარწმუნებთ პატიოსნებით,
რომ ლიზას შვილი ჩემი არ არი!

გათხოვდა ჩვენი პატარა ნინა,
ღმერთმა მას კარგი ვაჟი შესძინა;
ღმერთმა დალოცოს, კარგი ქალია,
იმ წამსვე ვაჟი მომანათლინა.

ღმერთო დამიცვე რას გარდვეკიდე,
ამბობენ, ისეც მე მგვანებია!
მე ჭაღარა ვარ, ის წითელია,
მე მსხვილი ვარ და ის კი ნაზია,
რითი ჩამომგავს ვერ გამიგია!

ასე გასინჯეთ, ეს სხვისი შვილი,
სულ სხვა ფერ-ხორცის და დაღრანჯული,
მამას მიძახის, როდესაც მივალ
ჩაილიდედასთან გამოპრანჭული.

აყალ-მაყალი, ტყვილი და შარი
მე რომ მოგიყვეთ, სირცხვილიც არი,
მხოლოდ გარწმუნებთ პატიოსნებით,
რომ სხვისა შვილი ჩემი არ არი!

—

ოთახში ვდგავარ და სახლის პატრონს
ცოლი ჰყავს სწორეთ მოსაწონია;
იმაზედ მაინც, გმადლობ შენ, ღმერთო
ჯერ არა ფერი გამიგონია!
შვილი ჰყავს იმას ლამაზი ბიჭი,
არ მეშურება სულ ხელში მყავნდეს,
მართალსაც გეტყვით, თუ დამიჯერებთ,
ის კი რიგია, რომ ჩამომგავდეს.

გ. ჭალადიდელი.

1871 წ.

უნახეს 700,000 (შვიდას ათასი) მანეთიო.

— ამავე გაზეთში იწერებიან, დაატუსაღეს ერთი პირი, რომელსაც უნახეს ორი რევოლვერი, ხანჯალი, აბები საწამლავებით და 20,000 ათასი მანეთი.

— აქამდისინ ვერ გაუგიათ იმ დამნაშავის ვინაობა, რომელიც 1 მარტს დაიჭირა და 10 საათის შემდეგ მიიცვალა. პროკურორის კითხვებზე იმან „არ ვიციო" მიუგო. სიკვდილის შემდეგ იმას მოსჭრეს თავი და შეინახეს.

— ნემეცურ გაზ. „*National Zeitung*"-ში იწერებიან პეტერბურღიდამ:

„რუსეთის მინისტრთა რჩევამ გარდასწყვიტა ენერგიულათ იმოქმედოს რევოლიუციონერების წინაამდეგ და ამასთანავე ახალ რეფორმების შემოღებაზედ მოილაპარაკონ."

## ახალი ამბები.

გუშინდელს ჩვენს ტელეგრამმებში შეცდომით იყო მოხსენებული, დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი მიხეილ ნიკოლოზის-ძე წამობრძანდა პეტერბურღიდამ თფილისშიო; მიხეილ ნიკოლოზის-ძე კი არა, დ. მ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე მობრძანდება.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქალაქის ფეხის ადგილების ნაგავი მეიჯარადრეს არსენალის იქით, მახათის გადაღმა გადააქვს თურმე და ისეთს ადგილას არისო ეს ნაგავი მოგროვილი, რომ რიგიანი წვიმა რო მოვიდეს, სულ ამ ნაგავს ნიაღვარი ჩუღურეთში ჩაიტანსო.

ამ საგნის თაობაზე, როგორც შევიტყეთ, სამხედრო მთავრობისაგან კამისია არის თურმე ამ ჟამად დანიშნული.

მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის გამგეობამაც მიაქციოს ამას ყურადღება; თორემ წარმოიდგინეთ— რა მოელის ჩუღურეთლებს, თუ მართლა ამ ზაფხულში ერთს დღეს, მთელი ქალაქის ფეხის ადგილების ნაწარმოები იმათ კარებზე და ეზოებში მოჰფინა.

* * *

ჩვენ გვთხოვენ შემდეგ შენიშვნის დაბეჭდვას გაზეთში:

„15 მარტს გარდაიხადეს პანაშვიდი, როგორც ყოველგან, აგრეთვე ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში; საზოგადოება სავსე იყო დიდით პატარამდის და გულითადი მწუხარება აღმოაჩინეს; თითქო ყველანი ეშურვებოდნენ ეკლესიაში უკანასკნელათ პატივის საცემლათ იმ დაუვიწყარის რუსეთის მეფისა.

„სხვათა შორის ამ დღეს ჩვენი ყურადღება მიიქცია მშვენიერათ გამართულმა კუბომ, რომელიც იყო დადგმული მისის სულის მოსახსენებელათ; კუბო იყო გამართული ძვირფასის ფარჩით, გარშემო დაწყობილი სამი რიგობა სანთლები, შიგა-და-შიგ ღვიის შტოები, ყვავილის თაიგულებით შემკობილი; შესავლით თავთან ზევით ჯვარცმა, შუაში ხატი იესო ქრისტეს საფლავისა, დაბლა კიდევ ხატი ყვავილებში ჩაწყობილი, ზემოდამ გულზედ იდვა პატარა შემკობილი სხვადა სხვა ფერად ბალიში და ზედ ოქროში დაფერილი ვეცხლის გვირგვინი.

„ამ დღეს ეკკლესიურ რიგის შესრულებაში შრომა მიიღო წინამძღვარმა პატრი დონ-დიმიტრი თუმანოვმა".

* * *

ჩვენ მივიღეთ ქართლიდამ, თ. გ. ე-ის (იგივე მამამზე) ერთის გლეხისაგან, შემდეგი წერილი:

„გთხოვთ, ბ. რედაქტორო, მოისმინეთ ჩვენი ამბავი და გაზეთში გამოაცხადეთ, იქნება ამით მაინც მიაქციონ ჩვენ გაჭირებას ყურადღება.

„ისე თქვენი მტერი შესწუხდა, როგორც ჩვენ, თ. გ. ე-ის გლეხები, ბატონისაგან შეწუხებული ვიყოთ. სული კი ამოგვაძრო, ბატონო და! სახნავსათესი სანადელო მამულები რაც გაგვაჩნდა, სულ ჩამოგვართვა და ხან ერთზე ჰყიდის, ხან მეორეზედ. ზოგს აძლევს მამულს და შემდეგ მეოთხედს არ სჯერდება და ისევ წაართმევს ხოლმე.

„მოურავიც შერჩენებული ჰყავს. მივდივართ, ვთხოვთ ფულებს გამოგვართმევს; მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ წაგვართმევს ხოლმე.

„პოსრედნიკთან გიახელით რამდენიმე ჯერ. იმანაც ის ნუგეში მოგვცა, რომ ბატონია, მამული იმისიაო, იმასთან უკმაყოფილება არ გამოგადგებათ, როგორც იქნება მოურიგდითო!

„ჩვენ რა მორიგება შეგვიძლია, თქვენი ჭირიმეთ, რომ არაფერს არ გვაძლევს?!

„ერთი მოგვხედეთ ვინმემ!..."

* * *

დღეს, პარასკევ საღამოს, ქალაქის რჩევის განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები:

მოხსენება ქალაქის თავისა „წყალში დაღუპვისაგან მშველელ საზოგადოების" თხოვნაზედ, რომ ქალაქმ ამ საზოგადოებას ფულით შემწეობა (600 მან.) აძლიოს;

მოხსენება იანსენის და ამხ. ქალაქის გაზით განათების თაობაზედ;

წინადადება ხმოს. სტ. გ. ზარაფოვისა, რომ ქალაქის რჩევამ, მძიმე საქმეების შესახებ მხოლოთ მეორეჯერ წაკითხვის შემდეგ, დაადგინოს თავის გარდაწყვეტილება;

წინადედება ხმოს. ნ. ი. ნიკოლაძისა ქალაქის რჩევის განჩინებათა შედგენის წესზედ;

წინადადება ხმოს. ა. პ. ბებუთოვისა იმის შესახებ, რომ საქალაქო სახლის პროექტის საქმე ხელ-ახლად განიხილოს ქალაქის რჩევამ და სხვ.

* * *

გუშინ, ხუთშაბათს, თფილისის კრუჟოკში დაიწყო ლექციები ვ. ი. ვარაპაევმა „მზეზედ და იმის მოქმედებაზედ". ორი ლექცია კიდევ იქნება მომავალ ხუთშაბათს, 26 მარტს და 2 აპრილს.

* * *

☞ ჩვენ მივიღეთ გუშინ ახლად გამოცემული სრული თხზულება ერთის ჩვენის გამოჩენილის მწერალთაგანის დავით გურამიშვილის „დავითიანი".

ჩვენ მოვასწარით ჯერ მხოლოთ გადათვალიერება ამ წიგნისა და თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გამომცემელი (ბ. გიორგი ზალიკაშვილი) და რედაქტორი (ბ. პეტრე უმიკაშვილი) სრულის მადლობის ღირსნი არიან ქართველ საზოგადოების მხრით ამ ჩინებულ წიგნის დაბეჭდვისათვის. ეტყობა, რომ გამომცემელს ფული და რედაქტორს შრომა არ დაუზოგავთ ამ წიგნის რიგიანად გამოსაცემად.

არც ძვირია: კარგა მომსხო ტომი ერთ მანეთად ისყიდება.

* * *

ჩვენა გვსურდა, რომ ხუთიოდე წერილში ვრცლათ და დაწვრილებით გაგვეხილნა ბატონი მზრუნველის სამოსწავლო პლანი და ამ საქმეს ძირამდის ჩავყოლოდით მაგრამ პირველი ორი წერილიდგან წითელ მელანიანმა კალამმა ერთობ ბევრი ადგილი იმსხვერპლა და დაამახინჯა ისინი. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ ამ საგანზედ სჯა შევსწყვიტოთ იმ იმედით, რომ მოკლე მომავალში დროთა ბრუნვა მოგვცემს სრულს ნებას გულ-წრფელად და პირ-და-პირ გამოვთქვათ ჩვენი აზრები როგორც ამ საგნის ისე სხვა საგნის შესახებ.

* * *

დღეს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში არის მეათე სხდომა ვეფხის ტყაოსნის რედაქციისა.

## ბათუმის სკოლა.

(„დროების" კორრესპონდენცია)

ძლივს!!. როგორც იყო ძლივს გვაღირსა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ" პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისათვისაც იყო გამოგზავნილი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

თ. ჭავჭავაძის თხოვნით, პირველ დღეს ბათუმის ღუბერნატორმა ბ. კამაროვმა მოიხმო ადგილობრივი ხალხიდგან რამოდენიმე წარჩინებული პირი და მათ გამოუცხადა ხსენებუ-

* * *

(რუსულიდამ)

ეს ჩვენი დრო სულ სხვა დროა,
იცვლება ქვეყანა მძიმეთ:
რაც ერთს ავსებს ნეტარებით,
მეორეს ის ტანჯავს მწარეთ.

—

ვთქვით, რომ ქალმა, ისე ცხადათ
ერთი ვინმე გარდაკოცნოს;—
კაცს ვერ ნახავთ იმისთანას,
ეს საქმე არ გაიოცოს.

—

ყველა იტყვის:—ეს რასა ჰგავს!
რა უნამუსო შვილია:
გარდაკოცნა,—ისეც ცხადათ!
დიდი, მძიმე სირცხვილია!..

—

მაგრამ თუ კი მოხდა ჩუმათ,
თუნდაც რომ ყველამ იცოდეს,
ცოლი ქმარს რომ ატყუებდეს,
ყველა იტყვის:—ჩუმათ განა?
შეიძლება, რატომ არა!

—

ვთქვათ, რომ აგერ დიდმა ფრანტმა
ღარიბს ხელი გაუწვდინოს; —
კაცს ვერ ნახავ იმისთანას,
რომ ეს მას არ დაუწუნოს.
ყველა იტყვის:--საწყლებსა სცნობს,
თავს იმდაბლებს და ვერა გრძნობს!

—

მაგრამ კაცი რომ დიდს ვისმეს
თავს სანაცვლოთ ევლებოდეს,
თავის-თავის სასარგებლოთ
ფეხ-ქვეშ დაუვარდებოდეს —
ყოფა - ქცევა ამისთანა
სირცხვილია, ძმებო, განა?
მაგრამ ჰკითხეთ, ყველა გეტყვისთ:
დიდსა ვისმეს?.. რატომ არა:

—

ვთქვათ ღარიბმა, ისე ჩქარა
მდიდრის კარზე ჩაიარა
და მწუხარემ, დღისა სარჩოთ
მცირედი რამე მოჰპარა.
მაშინ იცოდეთ, რომ იტყვის,
ქალი, კაცი და ქვეყანა:
მოუპარავს, რა უქნია,
ისეც აშკარად მომხდარა!

—

თაიდამ რომ კოჭებამდის
უძლურება ჰქონდეს ქრთამის,
მე გარწმუნებთ ყველა იტყვის:
— ხანდისხან რომ აჰკრას განა?...
შეიძლება, რატომ არა!

—

თუ უმცროსმა უფროსისა
ლანძღვა ველარ მოითმინა;
ლანძღვის ნაცვლათ სალანძღველი
სიტყვებითა შეაგინა.
მაშინ კი ზოგნი იტყვიან:
— ეს რა ტუტუცი შვილია,
უფროსებს აღარ მოერიდებს
და უამაყობს გულია.

—

მაგრამ თუ კი დიდი ვინმე,
მცირე ვინმეს აჭმევს სილებს,
მაშინ იტყვიან:—რა უშავს!
დიდი ვინმე მცირე ვინმეს
სილით გულსა გაუგრილებს!

გ. ჭალადიდელი.

1881 წ.

ლი საზოგადოების მიერ სკოლის გახსნა და ის, რომ რადგანაც ხსენებულ სკოლაში მაჰმადის სარწმუნოების ყმაწვილებმა უნდა შეისწავლონ პირველათ მაჰმადის სარწმუნოება, ამისათვის ამით ამოერჩიათ ერთი კარგი მოლლა და წარედგინათ, როლიც მიიღებდა ხსენებულ საზოგადოებისაგან წლიურ ჯამაგირ 200 მანეთს.

ხალხმა დიდი მადლობა გარდაუხადა და დაჰპირდნენ, რომ ისინი დიდის სიამოვნებით მისცემენ თავიანთ შვილებს ხსენებულ სკოლაში.

მეორე დღეს თანა-დასწრებით რამოდენიმე პირისა და ორიოდე ბეგისა, ღენერალ ქამაროვმა მადლობა გარდუხადა თ. ჩაეჭავაძეს, როგორც საზოგადოების წარმომადგენელ წევრს და გამოაცხადა, რომ დღეიდან გახსნილათ ითვლება სკოლა და ყველას შეუძლიან მიაბარონ შვილები და „ასწავლებინონ ჭეშმარიტება და არაუსაფუძვლო რამები, რადგანაც უსაფუძვლოთ ნასწავლები ჩვენ გიაურებს გვიძახიანო და ჩვენ კი არა ვართ გიაურები, არამედ ისინი, ვინც სიბოროტეს ჩაიდენსო.“

შემდგომ ამნაირათ სკოლის მნიშვნელობის ახსნიდან გადავიდა იმაზე, თუ რანაირათ ბრიყვდებიან და სულელობენ, რომ ხალხი გადადის და არ რწმუნდებიან იმაზე, რომ რუსეთის ქვეშევრდომობით ისინი იქმნებიან თავისუფალი მოქალაქენი და თათრების ხელში კი მოელისთ იმათ იმნაირივე პირუტყული მონება, როგორც დღემდი ყოფილან, რადგანც ოსმან-ფაშას მხოლოთ თავისი პიროვნული სარგებლობისთვის ვადაჰყავს და არა მათ საკეთილ-დღეოთო. მე არ შემიძლიაო, რომ ამისთანა ქურდი, ავაზაკი ხალხი კიდევ მივიღო უკან, რომლებიც შემდეგ გადასახლებისა ჩუმათ თუ ცხადათ გვთხოვენ მიღებას და მოდიან;—მე უნდა ვსთხოვო უმაღლეს მთავრობას, რომ აცნობონ ოსმალოს მმართებლობას, რომ აღარ გამოუშვან ისინი აქეთო.

ნაცვლათ იმისა რომ ჩვენ ბეგებს ეთქვათ თუ: „ბატონო, უნდა შეუნდოთ, უნდა აპატიოთ, რადგანც სცდებიან, არ იციან დაფთხალი ხალხი რას ჩადის და ყოველთვის მთავრობას სულგრძელობა და მოტევება ჰმართებს ამათთანა შამაკვდავი და გაველანებული ხალხისა!“ — უთხრეს, რომ: ბატონო, ჩვენც იმასა გთხოვთ და ჩვენი სურვილიც ის არის, წასულები აღარ შემოუშვათო.

უკანასკნელი საქმებიდან დამტკიცდა, რომ, მადლობა ღმერთს, ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრისა არ არის.

ჩვენ ჩვენის მხრით სრულებითაც არ ვამტყუნებთ ბეგებს, ამ ნაირი პასუხისათვის, რადგანაც იმათ გაუბედაობა და პირში უთქმელობა ოსმალოებისაგან ანდერძათ აქვთ დატოვებული. და ჩვენ სხვებს კი იმას ვეტყვით, რომ, თუ სურთ მთავრობის და ხალხის სიკეთე, ის კი არ უნდა, რომ სდევნონ და მიწასთან გაასწორონ, არამედ უფრო დაუყვავონ და მიიღონ, რომ იმათ შემდეგისათვის მტრობაზე და ორგულობაზე გული აღარ უცემდესთ!

ამბობენ, რომ ალი-ფაშა თავდგირიძეს სულთანისათვის მოუხსენებია: თუ გსურსთ საბერძნეთთან ომი, მე ათი ათასს მამაც მეომარ ხალხს გადმოსახლებულებიდგან შევადგენო და ამის ნაცვლათ მიუღია მადლობა და რაღაც ხარისხი და სულთანისაგან მიუცია ნება, რომ ქობულეთიდამ გადმოსახლებულებს ნება მიეცით საზღვრებზე დასახლებისაო.

ვგონებთ, „ამ ნაირი საქმეები ყოველ ნაირათ მავნებელია და ამისი შეჩერება ხალხის დევნით არ შეიძლება..

დაუბრუნდეთ სკოლის საქმეს.

თუმცა ამბობდნენ, რომ ოც-დახუთამდი შესრულდება“ ყმაწვილების რიცხვიო (ამათში რამოდენიმეც ბეგების შვილები ყოფილან), მაგრამ იმ დღეს მხოლოთ ხუთიოდ ყმაწვილი დაესწრნენ, ისიც ახალციხელები.

ჩვენ მოველოდით, რომ თ. ჩავჭავაძე რამე სიტყვას შემოგვწირავდა და უფრო კარგათ აუხსნიდა ხალხს სკოლის მნიშვნელობას, მაგრამ, საუბედუროთ, ამ ბედნიერებას მოკლებულნი დავრჩით.

სამაგიეროთ ჩვენ დაგვიტოვა სკოლაში მასწავლებლათ ბ. ა. ნანეიშვილი, რომლის ჯერ კარგათ გაცნობის ბედნიერებასა ვართ მოკლებულნი, მხოლოთ გარეგანი მისი მშვიდი და წყნარი შეხედულება იმედს გვაძლევს, რომ ყმაწვილების მიმზიდველ ხასიათებს გამოიჩენს და პირველ ამ შესანიშნავ სკოლაში ყველას დაუმტკიცებს კეთილ-ზნეობით ბავშების აღზრდა რა ბედნიერების მომტანია ხალხისათვის და მერე იმ ხალხისათვის, რომელიც ჩვენ გარშემო სიბნელეში თავს იხრჩობს.

უშოვნელობის მიზეზით ჯერ-ჯერობით მოუთავსებელია სკოლისათვის შენობა; მაგრამ სამაგიეროთ თ. ჩავჭავაძემ შემოგვპირდა, რომ უთუოთ აქ საზოგადოება თავის ხარჯით სკოლისათვის შენობას ააშენებს, რომლისათვისაც ქალაქი მუქთათ დაჰპირებია ადგილის მიცემას.

უკანასკნელათ დაგვრჩენია ხსენებულ საზოგადოებას ერთჯერ კიდევ გულითადი მადლობა უძღვნათ და ვისურვოთ მათი არსებობის დღეგრძელობა და ისა, რომ გამოსჩენოდეს ბათუმს ერთი იმისთანა საზოგადოება, რომ დიდრონი ბავშვებისათვისაც გაეხსნასთ სასწავლებელი.

კრაზანა.

ბათუმი, 12 მარტს.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! ამას წინეთ მისს ხარისხოვნებას ბ. დ. ავალოვს მოეთხოვნა წერილით საგარეჯოს დეპოს დახლიდრისთვის, რომ მას საიდუმლოთ ეცნობებინა-თუ ვისზედ რამდენი ითვლება ბანკისა, დეპოსი და პურის ფული და რომლებს გასვლიათ ვადა და ჯერეც აქნობამდინ არ წარუდგენიათ ამხანაგობაში.

არ მესმის რასაჭირო იყო მისთვის ამ ცნობების შეკრება, როდესაც ის არც ერთს ამხანაგობაში არ ურევია. მაგრამ იქნება მისთვის რომ, როგორც მოხუცებული და შეძლებული კაცს, სურს შემწეობა აღმოუჩინოს საწყალით დავრდომილთ გლეხთ, რომლებსაც კარგახანია ვადა გასვლიათ და აქამდინ არ შემოუტანიათ და მათ ნაცვლათ შემოიტანს ამხანაგობაში. მაგრამ ეს გვაკვირვებს, რომ აი მის ბიძაშვილს ივანე ავალოვს ბანკისა მართებს ხუთი თუმანი, დეპოს პურისა მართებს თვრამეტი მანეთი,—თუ გადიხდის, დიდათ მადლობელი იქმება დამზოგველი ამხანაგობა. მაგრამ აი რას ამბობენ იმისი ბიძაშვილი ივანე და პავლე:

„—ბატონო, ამასწინეთ ჩვენის ბიძაშვილის დავით ავალოვისაგან ვისესხეთ ექვსი თუმანი; სარგებლით დაგვაწერა შვიდ თუმან ნახევარი; ამ ფულში რვა გუდა ყველი მივეცით, ესე იგი თვრამეტი ფუთი,—ეს შეადგენს ცხრა თუმანს; სამ თუმან ნახევრისა სასუქი მივყიდეთ, ორი დღის ნახნავი, ხაშმზედ სამი ურემი პურის ქირა სულ ოც-და სამი მანეთი და სამი მანეთისაც ხე ტყე,—სულ თხუთმეტი თუმნისა და ერთი მანეთისა. ამ ზემოხსენებულში გროში არ მიმიღია; მპირდებოდა ვალში გასწორებას; მეც ვენდობოდი როგორც ბიძაშვილს და განათლებულ გენერალს. ახლა კი ზეურქა მწერალზედ გაუყიდნია ის ბარათი“!...

რა საკვირველია, ამ ოინების მომქმედი კარგს შემწეობას აღმოუჩენს თავის გვარეენობას და გლეხ კაცობას. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ავალოვმა იყიდა ძიკო ჩოლაყაშვილისაგან საგარეჯოს მონაწილეობა, ესე იგი ექვსი კომლი ყმის ადგილ-მამულზედ მებატონის უფლება; პალატამაც აკუთვნა ექვსი საკომლო საგარეჯოს მამულიდგან. მაშა სადამე რაც მამული ნაყმევებს ერგებათ, იქითგან უნდა ისარგებლოს ბატონმა ავალოვმა და არა მთელი საგარეჯო საზოგადოების გაუყოფელი მამულებიდგან.

მაგრამ რაც საუკეთესო საზოგადო ადგილებია, ეს ღობამს საკუთრებათ და ზვრებს აშენებს. ვინ არის ამისი დამშლელი? ვისიც რიგია, ღირსია, რომ ამას ყურადღება მიაქციოს, თორემ მრავალნი სხვები სჩადიან ამ ოინებს და ბოლოს ხალხს გაყოფის დროს ცარიელი გორაკები-ღა დარჩებათ.

ა. კპგოელი.

საგარეჯო, 15 მარტს.

## მწერლობა.

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეცხრე სხდომა რედაქციისა, 17 მარტს.)

თავმჯდომარეთ იყო თავ. დ. გ. ერისთავი.

შაარჩიეს მეოთხე კარის 42 ხანა,—78-დამ 120-დის.

გასწორდა:

ა) ტექსტში:

| | | |
|---|---|---|
| 79 ხანაში | ამა | გასწორდა იმა |
| — | „ სადა მისად | „ სადამისად |
| — | „ შენი | „ შენად |
| 81 | „ შთამოსთესი | „ ჩამოთესი |
| 82 | „ დაგაბნივე | „ დაგაბნიე |
| 83 | „ მამისმენ | „ მომისმენ |
| — | „ რაზომსა | „ რაზომცა |
| 84 | „ მიადგა | „ წაადგა |
| 85 | „ მომიცადე | „ მომიცდიდე |
| 86 | „ თივისა | „ თავისა |
| 87 | „ ხარ ვინადგან | „ ვინადგან ხარ |

მე-88 ხანას ექსორია უყვეს ტექსტიდამ, რადგანაც ეს ხანა არც რითმით, არც ცეზურით და არც ჰაზრით ვერ უდრის სხვა რუსთველის ნაწერს და ამას გარდა ქვემოთ, ამავე კარში, ისრეთივე ჰაზრის ხანა არის მოყვანილი უფრო შესაფერ ალაგზე.

| | | |
|---|---|---|
| 90 ხან. | ამისთანას | გასწ. ამისთანსა |
| — | „ მემაჯანას | „ მემაჯანსა |
| — | „ მონატანას | „ მონატანსა |
| — | „ ხანას | „ ხანსა |
| 91 | „ შეგამეცნე | „ შეგამეცნნე |
| 93 | „ ვინა | „ ვინ ა |
| — | „ ვითარ | „ ვით რა |
| 97 | „ შგება | „ გზება |
| 99 | „ მარეკიდა | „ მარეკი-და |
| 100 | „ ჴსთქვა | „ თქვი |
| 104 | „ სადმცა | „ რადმცა |
| 107 | „ მამცა | „ მემცა |
| 109 | „ არათ | „ არა |
| 111 | „ მე დარათ | „ მედარათ |
| 113 | „ მობრუნდა | „ მობრუნდეს |
| 116 | „ მკლავ-საგრებია | „ მკლავ-მარგებია (2 ტაეპ.) |
| — | „ თავი ვით | „ თუ ვითა |
| 118 | „ უსრმლოთ | „ უსმლოთ |
| 119 | „ ნასული | „ მნასველი |
| 120 | „ ჴგავს | „ ჴგავ |

ბ) სხოლიოში:

| | | |
|---|---|---|
| 79 ხან. | იმა | გასწ. ამა |
| 81 | „ პირველის | „ პირველისგან |
| 83 | „ დამმორჩილდები | „ დამორჩილდები |
| | „ სოფლისა | „ თავისა |
| 86 | „ ხელსაა | „ ხელთ არის |
| — | „ ჩემგან | „ ჩემი |
| | „ თავისა | „ თივისა |

მთელი მე-88 ხანა, რომელშიდაც არ სადა გასწორდება არა სადა-თ.

მე-111 ხანაში პირველი ტაეპი:
გამოეგება ტარიელ, ჴმართებსთ ორთავე მზე არად
გასწორდა:
წინ მოეგება ტარიელ მათთან სჩანს მზეცა მზედ არად.

| | | |
|---|---|---|
| 111 ხან. | ანუ ცით | გასწ. ვერ მათებრ |
| — | „ ულრუბლოდ | „ ულრუბლო |
| 113 | „ იტირეს | „ ტიროდეს |

ბევრი მუსაიფი ასტეხა შემდეგი სიტყვების გასწორებამ: დამმორჩილდე-

ბი (83 ხანა), თავისა (86), მკლავმარგები (116). ამას გარდა — მე-88 ხანასი პოემიდგან გამორიცხვამ. ამ გამორიცხვის ცოდვა არ აიკიდეს თავიანთ ზურგზე რაფ. ერისთავმა და თ. ჟორდანიამ. დაწვრილებითი მოყვანა მუსათვის არას გზით არ შემიძლია, თუმცა კი ის ძლიერ საინტერესო იყო. აი თუნდ იმ გაცხარებული ბაასის აწერა, რომელშიაც ჩვენ უნდა აგვეჩია თავს უნდა დაგვეწერა ტექსტში თუ თავი? როდისმე, შემდეგში, მოვილაპარაკებ სხდომების ფელიეტონური მხარეების აწერით.

ეხლა კი ამ საღამომდის, ბატონებო. სადგილ-მამულო ბანკში, შვიდ საათზე.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი

პირუტყვთა დამცველი თბილისის საზოგადოების წევრები მოიწვევიან 20 ამ თვეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბარიათინსკის სახლებში, ბაღში საერთო კრებაზედ. გარეშე პირთაც შეუძლიათ მოსვლა.

სხვათა შორის ამ სხდომაზედ იქნება სჯა კომისიისაგან წარმოდგენილს მოხსენებაზედ, რომელიც შეეხება შემდეგ საგნებს:

1). ფოსტის ცხენის ცხოვრების გაცნობა,

2). ცხენების და სხვა პირუტყვის დაჭედაზედ,

3). საქონლის დაკვლაზედ და საყასბოების თაობაზედ,

4). გამომცემელ კომისიის წევრთა არჩევა,

5). წევრთა დაჯილდოვება და

6). ნ. ეფენდი უნსი-ზადეს ლექციის წაკითხვა. (3—3)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდანებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბერვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდად განვეტების და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—38)

ხელის კამფეთები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის — 10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი — 70 კაპ., საუკეთესო კონიაკი — 2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი **ინგლისის მაღაზიაში.** (20—4)

## საყმაწვილო წიგნი

„წყ[illegible]

ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასყიდლათ ჩარკვიანის, ბრიქულოეის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში.

ქალაქ გარეთ იყიდება: გორში მარ. პერესელიძესთან, ქუთაისში გერარდის წიგნის მაღაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ვაჭრობს.

**ფასი** ხუთი შაური. **ოც** ეგზემპლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემპლიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა სალდგომოთ. (3—3)

## თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

### თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის მარტის 26, შუადღეზე, იმის თანა-დასწრებით დანიშნული ვაჭრობა (ტორგი) მიწის მუშაობის იჯარით გაცემაზედ ანდრეევსკის მაღაზნებასა და ალექსანდროვსკის ქუჩებს შუა, კუკიაში, სამას (300) მანეთად კუბიკური საჟენის მიწის ამოღება. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—2)

## ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ - მეხანიკის **გარტ კ. ფონსპერის სისტემისა,** რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზავოდებზე, **მზადდება თფილისში,** ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, **№ 16** მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე **კარლ ნეიმანთან.** (11—3)

## დიდ-ძალ საქონლის დასყიდვა

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში.

იქვე იყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებლად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—3)

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

# კოსმეტიურს

მაღაზიაში

ეს-ეს არის მოუვიდა პარიჟიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ახლად მოგონილი თმის საღებავნი: „ოდეციტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დაყრილისა; სხვათა შორის ერთი სახელად „უებარი“, ძალიან სულ-მისაცემ ფასად.

ვიმედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მადლიერი იქნეს. (10—5)

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის ამქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალერეაში: დიდ სახსხვად.

**იყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეთრეულები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფანდოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2—18

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ. — 40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაის ფასად ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—38

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—42)

თბილისში დაარსდა კავკასიის დამხმარებელი კომიტეტი **სავაჭრო ხელოვნებითის გამოფენისა,** რომელიც გაიხსნება **მოსკოვში** ამ წელს მაისში და რომლის მოვალეობა არის სხვათა შორის მისცეს საჭირო ცნობა გამოფენის შესახებ, როგორ უნდა გაიგზავნოს გამოფენისთვის დანიშნული ნივთები და სხვ. და სხვ. კავკასიაში მცხოვრებ პირთ, რომელნიც კი ისურვებენ ამ გამოფენაზედ თავიანთ ნივთების გაგზავნას.

ამისთვის, რადგანაც კი [illegible] ამ მოკლე ხანში [illegible], დამხმარებელი კომიტეტი საჭიროდ რაცხს შეატყობინოს, ვისაც ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება სურს (ეკსპონენტებს), რომ რამდენიც შეიძლება დაუჩქარონ გამოფენაზედ ნივთების გაგზავნა; ამასთანავე კომიტეტი აცნობებს შემდეგს:

1) ეკსპონენტებივალდებულნი არიან თავდა-პირველად შემოიტანონ ორი განცხადება გამოსატან ნივთებზედ; ეს განცხადებანი შეუძლიათ გაგზავნონ დამხმარებელ კომიტეტში; აგრეთვე ერთად ნივთებთან უნდა გამოიგზავნოს სამი სია რამდენი და რა ფასის საქონელი არის (ფაქტურები) თუ ფაქტურა არ იქნა, ნივთები არ მიიღება გამოფენაშიდ.

2) ნივთების გაგზავნ-გამოგზავნა გამოფენაზედ, უმაღლესად დამტკიცებულის გამოფენის წესდების § 20 ძალით, უნდა იქმნეს ეკსპონენტების ხარჯით.

3) ნივთების მიღება დაიწყება 15 მარტს და გაგრძელდება 1 მაისამდინ.

4) ეკსპონენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნივთები პირადად ანუ თავის ვექილებით, ანა და შეუძლიათ მიანდონ ეს მოვალეობა, დაწესებულის ჯილდოთი, გამოფენის მაკლერებს.

რადგანაც ბევრს კავკასიაში მცხოვრებთ გაუძნელდებათ თავიანთი ნივთების გამოფენაზედ გაგზავნა, ამისათვის დამხმარებელი კომიტეტი შუამდგომლობს დაინიშნოს გამოფენაზედ კავკასიიდგამ წარმომადგენლები, რომელთ მოვალეობა უნდა იქნეს იზრუნონ ნივთების მიღებაზედ და მათ გამოფენაში დალაგებაზე, და, საზოგადოთ უნდა დაიცვან ეკსპონენტების ინტერესები. ამისათვის:

ა) ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთ უფრო ადვილად შეუძლიათ გაგზავნონ თავიანთი ნივთები გამოფენაზედ პირდაპირ ამ ადრესით: **„въ Москву, въ управленіе Выставкою, въ Кавказское Отдѣленіе“;**

ბ) კასპიის და შავ ზღვასთან ახლო მცხოვრებთ შეუძლიათ გაგზავნონ ნივთები ზღვით იმავე ადრესით;

გ) დანარჩენებს შეუძლიათ გამოგზავნონ გამოსაფენი ნივთები ამ ადრესით: **въ Тифлисъ, въ вспомогательный комитетъ выставки, въ Управленіе Государственными Имуществами Главнаго Управленія Намѣстника“** და მასთანავე სიებიც (ფაქტურები) რამდენიც საჭიროა.

5) ვისაც სურს გამოიტანოს განცხადების და ფაქტურების დაბეჭდილი ქაღალდები (ბლანკები) ანუ გაიგოს რომელიმე დაწვრილებითი ცნობები შესახებ გამოფენისა — შეუძლია მიმართოს: **въ Кавказскій вспомогательный Комитетъ въ Тифлисъ, при Управленіи Государственными Имуществами Главнаго Управленія, въ домѣ Вейсенгофа, противъ Католическаго кладбища.** (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.